**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სხდომის ოქმი № 10**

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 31 მაისი

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია**

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, მანანა ჭანია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ავთანდილ გაბელია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.
საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ : დავით ბელქანია, ნონა მიქავა.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მერის პირველი მოადგილე ცოტნე შონია, მერის მოადგილე სავერიანე შეროზია, საკრებულოს, მერიის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00 სთ.
**სხდომა დასრულდა:** 12: 50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 22 ).

დღის წესრიგი:

**1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეა სარია -მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

**2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.**

მომხსენებელი: თენგიზ ფიფია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის **2019** წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018** წლის **28** დეკემბრის **#44** დადგენილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით

მომხსენებელი: **მანანა ჭანია,** საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

**4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

**5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

**6.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერზე თანხმობის მიცემის შესახებ**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

**7. სხვადასხვა**

**ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეა სარია,** მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

**ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების შესახებ.**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეა სარია,** მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს : 1 **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 11).

მოისმინეს: **2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 23).

**მოისმინეს 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მანანა ჭანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 12).

**მოისმინეს 4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში კერძოდ სალიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთისთვის საწყისი საპრივატიზებო საფასური მიზერულია. რაზეც განემარტა რომ ეს ნაკვეთი აუდიტის მიერ იქნა შეფასებული .რის საფუძველზეც განისაზღვრა საწყისი საპრივატიზებო საფასური.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 16 დეპუტატი, წინააღმდეგი -4 , ავთანდილ გაბელია, გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, დათა აკობია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 24).

**მოისმინეს 5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ

დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

კენჭისყრის დაჭყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრა დათა აკობიამ.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 16 დეპუტატი, წინააღმდეგი -3 , ავთანდილ გაბელია, გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა,) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 25).

**მოისმინეს 6. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირდა აზრთა სხვადასხვაობა. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ დალი კვარაცხელიამ საკრებულოს გააცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის უარყოფითი დასკვნა. საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხის შეჩერება სასამართლო დავის დასრულებამდე .

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ წამოაყენა წინადადება საკითხის სასამართლო დავის დასრულებამდე გადადების თაობაზე რაზეც საკრებულო ერთხმად დაეთანხმა.

**მოისმინეს 7. სხვადასხვა**

**ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით .**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულება ნაზარდი ჯამით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

**ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულება საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე** თემურ ღვინჯილია